

ა/წ 14 ივლისის ბაზით „24 საათში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „ბრძოლაშია ჩვენი სარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ღირებულების ბაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამომცხადებულ №1; №2 და №3 ლოტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ღირებულების ბაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ღირებულების ბაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამომცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაქვეყნებულ №1; №2 და №3 ლოტებზე აუქციონის გამომცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

№	რეგიონალური სატყეო სამმართველო	სატყეო უბანი	ელოფილი სატყეო	კვარტლის №	საერთო ფართობი ჰა	საექსპლუატაციო ფართობი ჰა	მერქიანი სახეობა	ჭრის სახე	სალიცენზიო ფართობზე სულ მოსაჭრელი მარაგი მ ³	სალიცენზიო ფართობზე მოსაჭრელი ლიკვიდური მარაგი მ ³	სამასალე მერქის გამოსავლიანობა ლიკვიდური მერქნიდან %	სამასალე მ ³	საშუალო მ ³	საწყისი ფასი (ლარი)	ბე (საწყისი ფასის 20%)	ბიჯი (საწყისი ფასის 10%)
1	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	თხმორი	22,23,26	660	149	წიფელი	მთავარი სარგებლობა	7450	6690	55	3680	3010	91336	18267	9133
	სულ				660	149			7450	6690		3680	3010			
2	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	ნიკორწმინდა	6,8,9,10,11,14,15,16,19,20,21,23,24	1435	572	წიფელი	მთავარი სარგებლობა	17270	15540	55	8547	6993	794184	158 837	79418
							სოჭი		75830	68220	75	51165	17055			
	სულ				1435	572			93100	83760		59712	24048			
3	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	ლისეთი	24,26,27,29,30,31,32	890	379	წიფელი	მთავარი სარგებლობა	21110	18950	55	10423	8527	487103	97421	48710
							სოჭი		29770	26770	75	20078	6692			
	სულ			0	890	379			50880	45720		30501	15219			

ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12 ტელ: 99 11 29; 99 10 33 აუქციონი ტარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.
ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს	
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მამიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი: 200122900 , მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222 , სახაზინო კოდი: 300773069
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს “ზე“-ს გადახდის ქვითარი	„ზე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900 , მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222 , სახაზინო კოდი: 302005000
ზე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	ა) განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით). ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. გ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები. ე) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ვ) „ზე“-ს გადახდის ქვითარი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი

სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები:

ა) ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან ეტაპობრივად, თითოეული კვარტლის მიხედვით, ჩაიბაროს ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით;

ბ) განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა:

ბ.ა) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ტყით სარგებლობისაგან;

ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;

ბ.გ) შეიმუშავოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა;

გ) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა, რომელსაც უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია. ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ საქმიანობა ტყის დაცვის მიზნით და არ დაიშვება ლიცენზიატის მიერ ხე-ტყის მოპოვება და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელება;

დ) უზრუნველყოს დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

ე) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იწვევდეს ტყის მასივის (კორომის) დანაწევრებას და არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტლების საზღვრებს;

ვ) ლიცენზიის ან ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას ტყით სარგებლობის ახალი გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის შემძენმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს;

ზ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიატები წარმოადგენენ ახალ ტყით სარგებლობის გეგმას (გეგმებს). ახალი ტყით სარგებლობის გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაიშვება;

თ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფები:

თ.ა) მასალები შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის რეგიონალურ სატყეო სამმართველოში და ჭრები განახორციელოს ტყეკაფის მასალების მასთან შეთანხმებისა და ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

თ.ბ) ტყეკაფის ათვისების ვადად განისაზღვრება კალენდარული პერიოდი ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს 2 წელიწადისა;

თ.გ) მომდევნო ტყეკაფების ათვისება დასაშვებია მხოლოდ წინა პერიოდში გამოყოფილი ტყეკაფის ათვისებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ათვისების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ;

ი) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

კ) ტყეში სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენოს ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები მანქანა-იარაღები და ტექნოლოგიები;

ლ) უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები;

ლ.ა) დაიცვას ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაზინძურებისაგან;

ლ.ბ) არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;

ლ.გ) საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება;

ლ.დ) არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;

მ) სამასალე ხე-ტყის პირველადი გადამუშავება (პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება შემდეგი პროდუქტია: ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, დაპობილი სათბობი შეშა, შავად ნამზადი დეტალი) სრულად განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე;

ნ) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;

ო) დაიცვას წყალდაცვითი ზოლის რეჟიმი;

პ) უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეების ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიატის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;

ჟ) განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებების და ხანძრებისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებები, რის უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებათა მასობრივად გავრცელების ან/და ტყის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;

რ) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიატი ვალდებულია დასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;

ს) პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

ტ) ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას (სამასალე და საშეშე მერქნის გარდა), უსასყიდლოდ მოაგროვოს ხილ-კენკროვნები, თხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები და ტყის სხვა პროდუქტები, გარდა „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებისა), ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას;

უ) ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა;

ფ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;

ქ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;

ღ) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოებულ სატყეო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 80%-ს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მოსახლეობა (იმ ტერიტორიული ერთეულების _ მუნიციპალიტეტების, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია);

ყ) მომუშავე პერსონალთან (ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან) გააფორმოს შრომითი ან/და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოს აღწერილობით, დაქირავებულთა საცხოვრებელი ადგილის მითითებით. შემოწმებისას, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემმოწმებელს;

შ) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადადღე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურებით.

ჩ) ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსათვის მის მიერ წერილობითი თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ხელი არ შეუშალოს სათბობ შეშაზე ადგილობრივი მოსახლეობის

მობილური ტელეფონების დაკმაყოფილების მიზნით სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფასა და ამ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადება-გაცემაში.

გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაპიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

გამარჯვებულის მიერ სააუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა